

სარკინიგზო გადამზიდავი 040754
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სარკინიგზო გადამზიდავი სარკინიგზო ტრანსპორტის მრავალდარგოვან ქვესისტემებში უმნიშვნელოვანესი გამაერთიანებელი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს:

- სარკინიგზო ტრანსპორტის გადაზიდვითი პროცესის სტაბილურ და უსაფრთხო განხორციელებას;
- რკინიგზის სადგურების მუშაობის ორგანიზაციისა და იქ მიმდინარე ტექნიკური, სატვირთო, კომერციული, სამგზავრო და სამანევრო ოპერაციების წარმოებას; სატვირთო გადაზიდვებსა და კომერციულ მუშაობას; სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვებს;
- მატარებელთა მოძრაობას გრაფიკის მიხედვით და უსაფრთხოების დაცვას.

II. დასაქმების სფერო

სარკინიგზო სადგურის ტექნიკური ოფისის, საინფორმაციო ცენტრებისა და საინფორმაციო ბიუროების ოპერატორი; საქართველოს რკინიგზის დაქვემდებარებაში არსებული ყველა იმ სადგურის მორიგის ოპერატორი, სადაც საშტატო განაკვეთით გათვალისწინებულია ეს თანამდებობა; მიმღები და გამგზავნი პარკის მორიგის, დამხარისხებელი გორაკისა და ფორმირების რაიონის მორიგის ოპერატორი. სამატარებლო შემადგენლობათა განფორმირებისა და ფორმირების ორგანიზაცია; სადგურის ლიანდაგებზე მდგომი ვაგონების დამაგრება; სამანევრო სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებული სასადგურო დოკუმენტების გაფორმება; გადასარბენებზე სხვადასხვა მიზეზით გაჩერებულ მატარებელთა შემოსაზღვრა; საუბნო, დამხარისხებელ და სატვირთო სადგურებში სატვირთო საბუთების დამუშავება; გადაზიდვის ღირებულების განსაზღვრა; აღრიცხვის წარმოება ტვირთების გადაზიდვებზე და ანგარიშგება (III საფეხური); სალიანდაგო პოსტების, ასაქცევების, გადასასწრები პუნქტების, შუალედური სადგურებისა და სალიანდაგო პარკების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა (IV საფეხური); შუალედური, საუბნო, დამხარისხებელი, სატვირთო და სამგზავრო სადგურების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა; ტექნიკური სადგურების ცალკეული ქვესისტემების სტრატეგიული მართვა, ოპერატიული სიტუაციების კონიუნქტურის გათვალისწინებით; რკინიგზის უბნებზე მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გატარების უზრუნველყოფა (V საფეხური).

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სარკინიგზო გადამზიდვის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V). თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სარკინიგზო გადამზიდვის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს: 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% - საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სარკინიგზო გადამზიდვის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

სარკინიგზო გადამზიდვის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს: 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სარკინიგზო გადამზიდვის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

სარკინიგზო გადამზიდვის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს: 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სარკინიგზო გადამზიდვის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის რკინიგზის კომერციული ექსპლუატაციის ორგანიზაციისა და მართვის პრინციპები; საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების ძირითადი დებულებები; სხვადასხვა სახის სატარიფო სახელმძღვანელოებით სარგებლობის წესები; გადასაზიდ ტვირთებზე სატვირთო დოკუმენტაციის ფორმები; მკაცრი აღრიცხვის ბლანკების შენახვის წესი; მეზობელი ქვეყნების რკინიგზის პოლიგონებზე ტვირთის მიმოქცევის ძირითადი მარშრუტები; მისასვლელი ლიანდაგებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციების სატვირთო ოფისების მუშაობის წესები და განრიგი. რკინიგზის სადგურების ძირითადი მოწყობილობებიდან – სარკინიგზო პარკების განლაგება; სატვირთო და კომერციული მუშაობის მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე – ტვირთების მიღება ვიზირება, ჩაბარება, შენახვა და ტრანსპორტირება; დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე – ტვირთების სატრანსპორტო დახარისხება, განლაგება და ვაგონზე დამაგრების წესები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სატვირთო საბუთების კომპლექტით სარგებლობა; სხვადასხვა სახის ბლანკების შევსება სადგურში ტვირთების მოძრაობის თაობაზე; კოდირებული ინფორმაციის მიღება და გაგზავნა; აღრიცხვის წარმოება ტვირთების გადაზიდვებზე, ანგარიშგება დატვირთვაზე, დაკლაზე, ვაგონთა მოცდენებზე; სატარიფო განაკვეთებისა და დამატებითი ანაკრეფების გაანგარიშება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებში; საკასო წიგნის წარმოება, საკასო ანგარიშგება; სატარიფო მანძილების განსაზღვრა გაგზავნისა და დანიშნულების სადგურებს შორის; ციფრული კოდირების ერთიანი სისტემით სარგებლობა; რკინიგზის სადგურების ძირითადი მოწყობილობებიდან – მატარებელთა განფორმირებისა და ფორმირების განხორციელება; სატვირთო და კომერციული მუშაობის მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე – ვაგონის კომერციული დათვალიერება და სატვირთო ოპერაციების ჩატარება; დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე – ამწე სატრანსპორტო მანქანების გამოყენების სფეროები დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებში;</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	აქვს შექმნილ ოპერატიულ სიტუაციებში სატვირთო სამოსამსახურო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხის გადაჭრის უნარი; ინფორმაციის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან, პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსხვავებულ სიტუაციებში; შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ლიტერატურის პერიოდული გამოცემები, სხვადასხვა სახის ცნობარები და ინტერნეტი; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება, საჭირო მასალის მოძიება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება - ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება დამატებით მოძიებული ლიტერატურით. აქვს უნარი, შეისწავლოს და გაითავისოს საწარმოს უსაფრთხოების ახალი მოთხოვნები და გამოიყენოს თვითგანვითარების პროცესისათვის.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას, იცავს დადგენილ ეთიკურ ნორმებს, ფასეულობებსა და უსაფრთხოების წესებს.

სარკინიგზო გადაზიდვის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის რკინიგზის სადგურის მოწყობილობები და მუშაობის ტექნოლოგია; სამანევრო სამუშაოთა წარმოების წესი სადგურებში; სატვირთო სამუშაოთა განხორციელებისა და სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები; საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციის ძირითადი დებულებები; შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები; მათემატიკიდან – წარმოებულები და დიფერენციალები; ტექნიკური მექანიკიდან – მანქანათა ნაწილებისა და მექანიზმების ძირითადი ელემენტები; მეწარმეობიდან – ზოგადი ცნებები მეწარმეობის შესახებ; ინფორმატიკიდან – ინფორმატიკის საფუძვლები; ზოგადი მენეჯმენტიდან – ზოგადი მენეჯმენტის არსი და საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – სატრანსპორტო მარკირება, ტარიფები და მისასვლელი ლიანდაგების მუშაობის ტექნოლოგია; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – რკინიგზის სადგურების, მისი ქვესისტემები და ცალკეული პოლიგონები; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – ტექნიკური სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემები; რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – უშუალოდ მატარებელთა მოძრაობასთან დაკავშირებული რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ძირითადი დებულებები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>უზრუნველყოფს სადგურებში სამატარებლო და სამანევრო მუშაობას და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე; ამყარებს ოპერატიულ კავშირებს მეზობელი სადგურის მორიგესთან, სამატარებლო დისპეტჩერთან, სამატარებლო და სამანევრო ლოკომოტივების მემანქანებთან; აწარმოებს გადაზიდვითი პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას; უზრუნველყოფს სატვირთო სამუშაოებსა და სამგზავრო გადაზიდვებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას; ხელმძღვანელობს და აწესრიგებს სალიანდაგო პარკში მატარებელთა ტექნიკური და კომერციული დათვალიერების ოპერაციების მიმდინარეობას. შეუძლია ტექნიკური მექანიკიდან – დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებში გამოყენებული ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპლუატაცია; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – სატვირთო ადგილების ტრანსპორტაბელურობის დადგენა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების გაანგარიშება; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – სადგურის პარკების მუშაობის ორგანიზაცია და საკვანძო დისპეტჩერების მუშაობა; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – მატარებელთა დაშლა-შედგენისა და მიწოდება-გამოტანის მანევრების წარმოება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული</p>	<p>შეუძლია შექმნილი ოპერატიული სიტუაციის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პრობლემური საკითხის გადაჭრა; ტრანზიტული მატარებლებისა და კვანძშიგა გადამცემი მატარებლების რეგულირების ალტერნატიული შესაძლებლობების</p>

	შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	განხილვა; მატარებელთა მასისა და სიგრძის ოპტიმალური ნორმების დადგენა; ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე არასპეციალისტებისათვის იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის პროფესიულ დონეზე გადაცემა; პროფესიასთან დაკავშირებული სიახლეების გასაცნობად თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დააგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს. ახასიათებს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებისადმი ერთგულებას.

სარკინიგზო გადაზიდვის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის რკინიგზის სადგურის მოწყობილობები და მუშაობის ტექნოლოგია; ვაგონნაკადების ორგანიზაცია და ფორმირების გეგმა; მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი; სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია; სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები; წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და მართვის კანონმდებლობის საკითხები; საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები; შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები; აცნობიერებს ცოდნის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობას. მათემატიკიდან – ინტეგრალი; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკიდან – ხაზვის ელემენტები და კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები; რკინიგზის მენეჯმენტიდან – რკინიგზის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები; ინფორმატიკიდან – ინფორმატიკის საფუძვლები რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობაში.
-----------------------	--	---

		<p>რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – სამანევრო და სამატარებლო მუშაობასთან დაკავშირებული რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ძირითადი დებულებები; შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვიდან – სარკინიგზო ტრანსპორტზე შრომის უსაფრთხოებასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებანი; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – დამხარისხებელი მოწყობილობების ტიპები და დამხმარე მოწყობილობები; ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობათა მუშაობის პროცესი; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – რკინიგზის სადგურებისა და უბნების მუშაობის ორგანიზაცია; მატარებელთა წევის მეურნეობიდან – ელმავლის მიერ განვითარებული წევის ძალის განსაზღვრა, მატარებლის წონის ნორმების დადგენა; რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებიდან – ვაგონებისა და ლოკომოტივების კონსტრუქციები და მათი რაციონალური გამოყენება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>ორგანიზებას უწევს რკინიგზების ტექნიკურ და კომერციულ ექსპლუატაციას; უზრუნველყოფს სადგურებში მატარებელთა მიღებას, გაგზავნასა და გატარებას, მარშრუტების მოსამზადებელი ოპერაციების შესრულებას; მისი განკარგულებით ხორციელდება ტექნიკური, სატვირთო, კომერციული, სამგზავრო და სამანევრო ოპერაციების წარმოება; ახორციელებს მის მიერ გაცემული განკარგულებების შესრულების სისწორეს მართვის ხელსაწყოების საშუალებით ან მის დაქვემდებარებაში მყოფ მუშაკთა მოხსენების საფუძველზე; ამყარებს ოპერატიულ კავშირებს მეზობელი სადგურის მორიგესთან, სამატარებლო დისპეტჩერთან, სამატარებლო და სამანევრო ლოკომოტივების მემანქანებთან; უზრუნველყოფს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის განხორციელებას მოძრაობისგრაფიკის შესაბამისად; შეუძლია მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სამატარებლო საბუთებისა და ფორმების წარმოება; ასრულებს მატარებელთა განფორმირებისა და ფორმირების წარმოებას; ახდენს ფორმირებული მატარებლის შემადგენლობის ტექნიკურ და კომერციულ დათვალიერებაზე წარდგენას და მის მზადყოფნაზე კონტროლის განხორციელებას. შეუძლია მათემატიკიდან – მათემატიკური აპარატის გამოყენება რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობაში;</p>

		<p>საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკიდან – ნახაზების წაკითხვა და კომპიუტერული აგება; რკინიგზის მენეჯმენტიდან – ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებიანი; ინფორმატიკიდან – სარკინიგზო ტრანსპორტზე ერთიანი კოდირების სისტემის რეალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – რკინიგზის ცალკეული ქვედანაყოფების მართვითი უნარ-ჩვევების შეძენა; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – გადაზიდვითი პროცესის საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლება; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – გორაკიან სადგურებზე განფორმირება – ფორმირების სამუშაოებს წარმოება; ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე – სამანევრო და სამარშრუტო სიგნალები სადგურებში; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – სასადგურო, სამანევრო და სამატარებლო დისპეტჩერების მუშაობა; მატარებელთა წევის მეურნეობიდან – მოძრაობის სიჩქარეების დადგენა მატარებელთა წევის დროს.</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია პრობლემატური საკითხების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; სასადგურო მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება; შექმნილი ოპერატიული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი შედეგების შეფასება, ცოდნის დონის ამაღლების საჭიროების განსაზღვრა, მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; სისტემატიურად ეცნობა მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და თანამედროვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს პერიოდული გამოცემებისა და ინტერნეტის საშუალებით.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	გაცნობიერებული აქვს საქმიანობის სფეროს მნიშვნელობა; მკაცრად იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან უსაფრთხოების წესები; საქმიანობისას მოქმედებს და სხვებსაც მოუწოდებს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად.